უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება №74

2018 წ. "25" 09

ქ.თბილისი

შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის ავტორიზაციის შესახებ

დაწესებულების მიერ თვითშეფასების ფორმაში ასახული ინფორმაციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, ამავე მუხლის 2^1 პუნქტის, მე-12 მუხლის, ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 56^2 მუხლის მე-3 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, ამავე მუხლის 3^1 პუნქტის, 56^3 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, ამავე მუხლის 1^1 და მე-7 პუნქტების, 25-ე მუხლის პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების, მე-6 პუნქტის ,,ე" ქვეპუნქტის, 25^1 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა

1. შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტს (ს./კ 204886454) 6 წლით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულები სტატუსი (უნივერსიტეტი) და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განისაზღვროს 1 400 ით.
2. შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტს სტუდენტთა მიღების უფლება შეეზღუდოს 1 წლის ვადით.
3. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2018 წლის 17 სექტემბრიდან.
4. შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტს მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები.
5. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 25 სექტემბრის №17 სხდომის ოქმი და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის შესახებ ცნობილი იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

6. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება კანონით დადგენილი წესით, შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, მ. ალექსიძის №1 ან ქ. თბილისის სამოქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე
დავით აფრასიძე

მდივანი
მაკა გველესიანი

დანართი

N	**პროგრამის დასახელება**	**სწავლების ენა**	**მისანიჭებელი კვალიფიკაცია (კვალიფიკაციის კოდით)**	ECTS	**ინფორმაცია პროგრამის აკრედიტაციის შესახებ**	**შესაბამისი გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი**
1	სამკურნალო საქმე	ქართული	დიპლომირებული მედიკოსი (090101)	360	აკრედიტებული	02.12.2011 N388
2	სტომატოლოგია	ქართული	დიპლომირებული სტომატოლოგი (090201)	300	აკრედიტებული	02.12.2011 N389
3	მედიცინა	ქართული	მედიცინის დოქტორი (0901)	180	აკრედიტებული	02.12.2011 N390
4	სამართალმცოდნეობა	ქართული	სამართლის ბაკალავრი (06)	240	აკრედიტებული	02.12.2011 N399
5	სამართალი	ქართული	სამართლის მაგისტრი (06)	120	აკრედიტებული	09.08.2012 N312
6	ბიზნესის ადმინისტრირება	ქართული	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი(02)	240	აკრედიტებული	18.07.2018 N81
7	ტურიზმი	ქართული	ტურიზმის ბაკალავრი (1120)	240	-------	
8	ფინანსები და საბანკო საქმე	ქართული	ბიზნესის ადმინისტრირებ	240	-------	

			ის ბაკალავრი - ფინანსებში (0204)			
9	ინფორმაციული ტექნოლოგიები	ქართული	ინფორმატიკის ბაკალავრი (0401)	240	აკრედიტებული	13.12.2012 N 788
10	ბიზნესის ადმინისტრირება	ქართული	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი (02)	120	აკრედიტებული	18.07.2018 №82
11	ეკონომიკა	ქართული	ეკონომიკის დოქტორი (0701)	180	აკრედიტებული	02.12.2011 N395
12	ჟურნალისტიკა	ქართული	სოციალური მეცნიერებების ბაკალავრი (07)	240	აკრედიტებული	02.12.2011 N400
13	ჟურნალისტიკა	ქართული	ჟურნალისტიკის მაგისტრი (0703)	120	აკრედიტებული	02.12.2011 N401
14	საერთაშორისო ურთიერთობები	ქართული	საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრი (0705)	240	აკრედიტებული	03.08.2017 N50
15	საერთაშორისო ურთიერთობები	ქართული	საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრი (0705)	120	აკრედიტებული	03.08.2017 N 51
16	ინგლისური ფილოლოგია	ქართული	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი (10)	240	აკრედიტებული	02.12.2011 N 402